

## საქართველოს საპატრულო პოლიცია და ადმინისტრაციული სახდელები

### რას წარმოადგენს საპატრულო პოლიცია?

2004 წლის ივლისში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, საგზაო პოლიციის ნაცვლად, ავტომანქანების საპატრულო პოლიცია ჩამოყალიბდა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ნაწილი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას, ახორციელებს ავტომანქანების პატრულირებას და ავტო-მოტო ტრანსპორტის რეგისტრაციას. ასევე, მართვის უფლების მინიჭების შესახებ მოწმობების, ხოლო დიაგნოსტიკური ცენტრის საქმიანობების თაობაზე – ნებართვების გაცემას. აწარმოებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას და, ამ მიზნით, ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას. საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ გამოვლენილი დანაშაულის საქმეებზე ატარებს მოკვლევას (გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც განეკუთვნება მოკვლევის სხვა ორგანოთა კომპეტენციას), ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ეს არის საპატრულო პოლიციის კომპეტენციის ზოგადი აღწერა, რაც კონკრეტულ ასახვას პოვებს საპატრულო პოლიციის სტრუქტურული განყოფილებების ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებზე. მოკლედ განემარტავთ აღნიშნულ უფლება-მოვალეობებს. აგრეთვე, წარმოგიდგინთ იმ ადმინისტრაციულ დარღვევათა და პასუხისმგებლობათა სახეებსა და ზომებს, რომლებიც საპატრულო პოლიციის მიერ გამოიყენება.

### რა ფუნქციები აქვს საპატრულო პოლიციას?

- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში:
  1. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო საქმიანობა და მართვის უფლების მინიჭება;
  2. სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილება, ცხელ კვალზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ადგილიდან მიმალული მძღოლების, გატაცებული ან მოპარული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძებნისა და დადგენის მიზნით განსახორციელებელ, მათ შორის, ავტოსატრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალებების გამოყენების ღონისძიებებში მონაწილეობა;
  3. საგზაო მოძრაობის მოწესრიგების მიზნით სამართლებრივ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება;
  4. გზებზე სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის შეზღუდვა ან შეწყვეტა, რომელიც ხორციელდება:
    - ⇒ საავტომობილო გზის გაუმართაობისას ან შეზღუდული ხილვადობის პირობებში;
    - ⇒ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის მიზნით;
    - ⇒ ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით, რომელიც ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე;
  5. აჩერებს და აუქმებს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებას, თუ არსებობს შემდეგი საფუძვლები:
    - ⇒ სამედიცინო დასკვნა მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ, რაც შეუძლებელს ხდის სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოდ მართვას;
    - ⇒ სისხლის სამართლის დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა, რისთვისაც გათვალისწინებულია მართვის უფლების ჩამორთმევა;
    - ⇒ პირის გარდაცვალება.

- გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევათა და დანაშაულის აღკვეთა-აცილება;
- არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა და დანაშაულის აღკვეთა-აცილება;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში სანებართვო საქმიანობა, სამართალდარღვევათა და დანაშაულის აღკვეთა-აცილება;
- თავის კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა;
- საქართველოში ვიზიტად მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვა მნიშვნელოვანი პირების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის განხორციელება.

**საპატრულო პოლიციას უფლება აქვს:**

- ზედამხედველობა გაუწიოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვას;
- სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის მისაჩნევად, რომ იგი იმყოფება ნასვამ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპიკური საშუალების ზემოქმედების ქვეშ და შეამოწმოს სიმთვრალის დასადგენად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;
- აკრძალოს სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, თუ მისი კონსტრუქცია და ტექნიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
- სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გააჩეროს და დაათვალიეროს სატრანსპორტო საშუალებები, შეამოწმოს მძღოლის მართვის მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტები;
- დანაშაულის ფაქტზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძველებით და წესით ჩაატაროს ჩხრეკა, ამოღება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება;
- ხე-ტყისა და პირველადი გადამუშავების პროდუქტების ტრანსპორტირების წესის დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის სამსახურებს, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;
- სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომელსაც არა აქვს მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა;
- დანაშაულის ფაქტზე ჩაატაროს ჩხრეკა, ამოღება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება;
- ⇒ ავტომანქანის დათვალიერება მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, მისი ჩხრეკა, ქონების ამოღება, მასზე ყადაღის დადება ან ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით).
- ⇒ თუ არსებობს კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობა, ავტომანქანის დათვალიერება მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, მისი ჩხრეკა, ქონების ამოღება, მასზე ყადაღის დადება ან ჩამორთმევა შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე, მაგრამ მათი კანონიერება და დასაბუთებულობა უნდა შეამოწმოს მოსამართლემ – მათ შესახებ მასალების წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ამასთან, მოსამართლე წყვეტს აღნიშნული საპროცესო მოქმედებებით მიღებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს.
- აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა; საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი; საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად (თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია), განახორციელოს ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა;

⇒ ადმინისტრაციული დაკავება:

- ✘ ადმინისტრაციული დაკავების შესახებ უნდა შედგეს ოქმი, რომელშიც აღინიშნება – მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი; ცნობები დაკავებულის პიროვნების შესახებ; დაკავების დრო და მოტივი. ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი თანამდებობის პირი და დაკავებული. თუ დაკავებული უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში კეთდება ჩანაწერი.
- ✘ დაკავებული პირის თხოვნით, მის ადგილსამყოფელს აცნობებენ ნათესავებს, ადმინისტრაციას სწავლის თუ სამუშაო ადგილის მიხედვით.
- ✘ ადმინისტრაციულმა დაკავებამ არ უნდა გასტანოს **სამ საათზე მეტ ხანს**.

⇒ პირადი გასინჯვა და ნივთების გასინჯვა:

- ✘ პირადი გასინჯვა შეუძლია აწარმოოს საამისოდ უფლებამოსილმა პირმა (რომელიც გასასინჯი პირის სქესისა) იმავე სქესის ორი პირის თანდასწრებით.
- ✘ პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის შესახებ შედგება ოქმი ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან ადმინისტრაციული დაკავების ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

⇒ ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა:

- ✘ დაკავების, პირადი გასინჯვის ან ნივთების გასინჯვის დროს აღმოჩენილი ნივთები და დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენენ სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს, ექვემდებარებიან უფლებამოსილი პირის მიერ ჩამორთმევას;
- ✘ სამართალდარღვევის საქმის განხილვამდე ჩამორთმეულ ნივთებსა და დოკუმენტებს ინახავენ განსაზღვრულ ადგილას, ხოლო საქმის განხილვის შედეგების მიხედვით მათ გაუკეთებენ კონფისკაციას ან დაუბრუნებენ მფლობელს, ხოლო სასყიდლით ჩამორთმევის შემთხვევაში – გაუკეთებენ რეალიზაციას.
- ✘ ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევისას შედგება ოქმი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ნივთების გასინჯვის ანდა ადმინისტრაციული დაკავების ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
- ✘ სამართალდარღვევის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების მძღოლს, საქმეზე დადგენილების გამოტანამდე, ჩამოერთმევა მძღოლის მოწმობა და მიეცემა სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა.

⇒ ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა შეიძლება ათი დღის ვადაში გაასაჩივრონ დაინტერესებულმა პირებმა ზემდგომ ორგანოებში ან პროკურორთან.

**რა ვალდებულებები აკისრია საპატრულო პოლიციას?**

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლებს და მგზავრებს აღმოუჩინოს სათანადო დახმარება, უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის დაცვა;
- ავტომაგისტრალზე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნისას, ავარიის, კატასტროფის, ხანძრის, სტიქიური უბედურების და სხვა საგანგებო შემთხვევის დროს შეატყობინოს შესაბამის სამსახურებს მომხდარის შესახებ და კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაუდებელი ზომები ადამიანთა დასახმარებლად, ასევე, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონების დასაცავად.

ზემოთ განვმარტეთ, რომ საპატრულო პოლიცია უფლებამოსილია, გამოავლინოს საგზაო მოძრაობის წესებთან დაკავშირებული სამართალდარღვევები და დამრღვევს შეუფარდოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებისა და არა მარტო მათთვის, საინტერესო იქნება, თუ პასუხისმგებლობის რა ღონისძიებები გამოიყენება საგზაო მოძრაობის და სატრანსპორტო საშუალებათა ფლობის წესების დარღვევისათვის.

<p>ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) სახე</p>	<p>ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის (სახდელის) სახე და ოდენობა</p>
<p>სატრანსპორტო საშუალების მართვა ნასვამ მდგომარეობაში, ან სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ნასვამი, ნარკოტიკული ან ფსიქოტოქსიკური საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის,</p> <p>აღნიშნული დარღვევის ჩადენა განმეორებით ერთი წლის განმავლობაში, აგრეთვე, იმ პირის მიერ, რომელსაც ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ამგვარი დარღვევისთვის,</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას სამოცდაათიდან ოთხმოც ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ერთიდან ორ წლამდე;</p> <p>გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოციდან ას ორმოცდაათ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ორიდან სამ წლამდე;</p>
<p>სატრანსპორტო საშუალების მართვა ნასვამ მდგომარეობაში, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ან სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის, რომელსაც არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება,</p> <p>აღნიშნული დარღვევის ჩადენა განმეორებით ერთი წლის განმავლობაში, აგრეთვე, იმ პირის მიერ, რომელსაც ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ამგვარი დარღვევისთვის,</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ას ათიდან ას ოც ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ერთიდან ორ წლამდე;</p> <p>გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოციდან ას ორმოცდაათ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ორიდან სამ წლამდე;</p>
<p>სატრანსპორტო საშუალების მართვა ნარკოტიკული ან ფსიქოტოქსიკური საშუალების ზემოქმედების ქვეშ</p> <p>შენიშვნა: ამ დარღვევის ჩამდენს, მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლის შემდეგ, მართვის მოწმობა დაუბრუნდება სრული გამოჯანმრთელებისას – დადგენილი წესით.</p>	<p>გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას სამი წლის ვადით;</p>

<p>სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც თან არა აქვს მძღოლის მოწმობა, აგრეთვე, თუ სატრანსპორტო საშუალება ან მისი ნომრიანი აგრეგატი რეგისტრირებული არ არის დადგენილი წესით, ანდა გადაკეთებულია შესაბამისი ნებართვის გარეშე,</p> <p>აქ ჩამოთვლილი დარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე, ქონების დაზიანება,</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთიდან ათ ლარამდე;</p> <p>გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით სამიდან ექვს თვემდე;</p>
<p>იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის მექანიზმი, მისაბმელი მოწყობილობა ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები და უკანა საგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან შუშის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტიულობა,</p> <p>ჩამოთვლილი დარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე ქონების დაზიანება,</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ათიდან თხუთმეტ ლარამდე;</p> <p>გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით სამიდან ექვს თვემდე;</p>
<p>სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისათვის ან იმ პირისთვის, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება,</p> <p>იგივე დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება,</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ოციდან ოცდახუთ ლარამდე;</p> <p>გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ ლარამდე;</p>
<p>სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოციდან ას ორმოცდაათ ლარამდე ოდენობით;</p>

<p>ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში ანდა ნარკოტიკული ან ფსიქოტოქსიკური ზემოქმედების ქვეშ მართვისას,</p> <p>აღნიშნული დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება,</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ას სამოციდან ას სამოცდაათ ლარამდე ოდენობით;</p>
<p>კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში მართვის უფლება ჩამორთმეული პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვა</p> <p>აღნიშნული დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება,</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას სამოციდან სამოცდახუთ ლარამდე ოდენობით;</p> <p>გამოიწვევს დაჯარიმებას სამოცდაათიდან ოთხმოც ლარამდე ოდენობით;</p>
<p>წინასწარი შეცნობით სატრანსპორტო საშუალების მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვისი, ან შენიღბული, ან სხვაგვარად შეცვლილი, ან სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე დამაგრებული სახელმწიფო სანომრე ნიშნით, ან ასეთი სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა, აგრეთვე, თუ სატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული არ არის დადგენილი წესით,</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან სამოც ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით;</p>
<p>მძღოლის მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება, რომლის მონაწილეც თავად არის,</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდახუთიდან ოცდაათ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით;</p>
<p>სატრანსპორტო საშუალების შეჩერების შესახებ პოლიციის მუშაის მოთხოვნის ბოროტად შეუსრულებლობა</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდახუთიდან ოცდაათ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით;</p>
<p>სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, გარდა ამ მუხლის მეორე ნაწილში</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთიდან ათ ლარამდე ოდენობით</p>

<p>მითითებული შემთხვევებისა, საქვეითო გადასასვლელის გავლის, გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალების განლაგების, დგომა-გაჩერების, ბუქსირის, ტვირთის გადაზიდვის, გარე სანაოთი ხელსაწყოთი ან ხმოვანი სიგნალით სარგებლობის, მოძრაობის დაწყებისა და მანევრირების, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან ავტომაგისტრალზე მოძრაობის წესების, ანდა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის დარღვევა, აგრეთვე, მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას, ასევე, აკრძალულ ადგილზე ან არასწორად დაყენებული სატრანსპორტო საშუალების, მიტოვება</p> <p>აღნიშნული დარღვევა, რასაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, ან სატრანსპორტო საშუალებათა, ტვირთის, გზის, საგზაო და სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება,</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას სამიდან ექვს თვემდე ვადით;</p>
<p>სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 30 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული (“დაუთმე გზა”, “მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია”) ან ამკრძალავი (“შესვლა აკრძალულია”, “მოძრაობა აკრძალულია”) ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთის, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა</p> <p>აღნიშნული დარღვევა, რასაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, ან სატრანსპორტო საშუალებათა, ტვირთის, გზის, საგზაო და სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ ლარამდე ოდენობით, ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას სამიდან ექვს თვემდე ვადით;</p>
<p>ქვეითად მოსიარულის, ველოსიპედისტის, მზიდავის ან გზით მოსარგებლე სხვა პირის მიერ საგზაო მოძრაობის რეგულირების სიგნალისადმი დაუმორჩილებლობა, საგზაო ნიშნის ან გზის სავალი ნაწილის მონიშვნის</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათი თეთრიდან ერთ ლარამდე ოდენობით;</p>

<p>მოთხოვნათა უგულებლყოფა, აგრეთვე სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვის ძოვების წესების დარღვევა</p> <p>იგივე დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება,</p>	<p>გამოიწვევს დაჯარიმებას თხუთმეტიდან ოც ლარამდე ოდენობით.</p>
--	--

შენიშვნა: მძღოლის მოწმობის ან სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში საქმის განხილვამდე დამრღვევს დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც გადაიყვანენ სპეციალურ დაცულ სადგომზე. სადგომზე შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევ მძღოლს, ხოლო იმ ტექნიკური გაუმართაობებით მართვის შემთხვევაში, რომლებიც კრძალავს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას, ასეთი სატრანსპორტო საშუალების შემდგომი გადაადგილება არ დაიშვება.